ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის
N01-07-03 დადგენილებით
დანართი 1

ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

2025 წელი

<u>სარჩევი:</u>

მუხლი 1. რეგულირების სფერო 3
მუხლი 2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და ანტიპლაგის სისტემა 3
მუხლი 3. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 4
მუხლი 4. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე 4
მუხლი 5. სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია 7
მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 8
მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 10
მუხლი 8. მობილობა 11
მუხლი 9. საერთაშორისო მობილობა - გაცვლითი პროგრამები 12
მუხლი 10. სასწავლო წელი (აკადემიური კალენდარი) და სტუდენთა სასწავლო დატვირთვა 13
მუხლი 11. სტუდენტის შეფასების წესი 15
მუხლი 12. კრედიტების აღიარების წესი 17
მუხლი 13. კვალიფიკაციის მინიჭების წესი 20
მუხლი 14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა 21

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	01.08.2022	01-03/03	პარტნიორთა საერთო კრება	პირველადი რედაქცია	01	
2	16.01.2025	01-07/03	აკადემიური საბჭო	განახლებული რედაქცია	02	

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის" (შემდეგში – „ავიცენა" ან „უნივერსიტეტი") საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესს, მათ შორის სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ სამართლებრივი ასპექტებს, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ავიცენაში გადმოსვლისას (მობილობისას), სტატუსის აღდგენისას ან უცხოეთში სწავლისას სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის აღიარების (შემდეგში – „კრედიტების აღიარება"), საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, ასევე სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ვრცელდება სააუდიტორო სწავლების ფორმით განხორციელებულ საგანმანათლებლო პროცესზე.

1.3. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება ავიცენას სასწავლო პროცესში ჩართულ ნებისმიერ პირზე, თანაბრად.

1.4. ავიცენა ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სრულფასოვნად განათლების მიღებისა და სასწავლო პროცესში კომფორტული გარემოს შეთავაზების გზით.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და ანტიპლაგის სისტემა

2.1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის იმართება **სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით** (შემდეგში – „ელექტრონული სისტემა"), უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის" შესაბამისად.

2.2. ელექტრონული სისტემის სარგებლობისთვის უნივერსიტეტის პერსონალს/სტუდენტს („სისტემის მომხმარებელი") გადაეცემა **შესაბამისი ფუნქციის და როლის მქონე სააღრიცხვო ჩანაწერი (მომხმარებლის პროფილი/account),** რომლის საშუალებითაც, სისტემის მომხმარებელი ახორციელებს ელექტრონული სისტემის მოდულებში ოპერირებას (ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და სხვა);

2.3. ელექტრონულ სისტემაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, სისტემის მომხმარებელი წერილობით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ელექტრონული საქმისწარმოების გზით.

2.4. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორის ფუნქციას ასრულებს შესაბამისი სკოლის დეკანის მოადგილე, ნაშრომის ორიგინალობის შეფასების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ჯანმრთელობის და დღეგრძელობის

სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ხოლო პროცესის მონიტორინგი კი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2.5. სტუდენტის ნაშრომის ორიგინალობის შეფასება ხორციელდება პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული სისტემის (Turnitin) მეშვეობით (შემდგომში - „ანტიპლაგის სისტემა“ ან „ტურნიტინის პროგრამა”), რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის ეფექტურ შემოწმებას (ნაშრომის ტექსტის შედარება სხვა ნაშრომებთან/მასალებთან და მსგავსების არსებობის შემთხვევაში პროგრამულ ანგარიშში იმ დოკუმენტ(ებ)ის ასახვა, რომელთანაც მსგავსება გამოვლინდება).

მუხლი 3. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე

3.1. ავიცენას სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისა.

3.2. ავიცენას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთა ჩარიცხვის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განისაზღვრება აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სტუდენტის პირადი საქმის შექმნისთვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადები.

3.3. ავიცენას საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტთან გააფორმოს ხელშეკრულება, გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები).

3.4. უნივერსიტეტში რეგისტრაციის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, რის საფუძველზეც ის მოიპოვებს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსს.

მუხლი 4. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე

4.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას აბიტურიენტი მოიპოვებს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და

განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად.

4.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი უფლებამოსილია, მინისტრის შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 1 წლის ვადაში ჩაირიცხოს და დაიწყოს სწავლა ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში.

4.3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლებით სარგებლობენ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

ბ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეები (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4.4. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ,,აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში ამ მუხლის ტექსტში – ,,ცენტრი”) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სტუდენტის/აბიტურიენტის უნივერსიტეტში რეგისტრაციის გავლის (შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის), სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების (აკადემიური კონტრაქტის) გაფორმებისა და ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ.

4.5. უცხო ქვეყნის მოქალაქეების, ასევე უცხო ქვეყნის ზოგადი/უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეების თუ მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვის დამატებითი პირობაა მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის სსიპ – განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მინიჭება.

4.6. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში აბიტურიენტთა/სტუდენტთა ჩარიცხვის/გადმოსვლის მიზნით:

ა) დაინტერესებული პირი უზურნველყოფს წერილობითი განცხადების გაკეთებას რექტორის სახელზე;

ბ) განცხადების საფუძველზე უნივერისტეტის რექტორის მიერ გაიცემა წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე პირის მიღების შესახებ;

გ) უნივერსიტეტის მიერ გაიცემა დასკვნა ჩარიცხვის/გადმოსვლის მსურველი პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების უნივერსიტეტის პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 224/ნ ბრძანებით დადგენილი დოკუმენტებისა და უნივერსიტეტის მიერ გაცემული თანხმობის/უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნის ცენტრში წარდგენისა და ცენტრის დირექტორის დასკვნის საფუძველზე ენიჭება პირს ავიცენას უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება.

ე) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია უნივერისტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სტუდენტის პირადი საქმის წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (პირადობის მოწმობა/პასპორტი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული და აღიარებული ასლები და სხვა, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;) და გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

ვ) ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, წინამდებარე პუნქტის „ე" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, სტუდენტს უფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

4.7. ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცემა ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან, წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით, ხელშეკრულების გაფორმების შესახებ შესაბამისი სკოლის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

4.8. ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე უნივერსიტეტის უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა და სასწავლო პროცესი (აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და სხვა) წარიმართება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესის, სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების, ასევე უნივერსიტეტში ჩარიცხვით

დაინტერესებულ პირთა მოზიდვის შესახებ გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

4.9. რექტორის ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის ნებისმიერი ცვლილების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N90/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

5.1. ყოველი სემესტრის დაწყებამდე, აკადემიური კალენდრით რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური და ადმინსტრაციული რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მიმდინარე სემესტრში შესასწავლი სასწავლო კურსების არჩევას. ადმინისტრაციული რეგისტრაცია ნიშნავს ამ სასწავლო კურსების საფასურის გადახდას.

5.2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის მიზნით სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სასწავლო წლის/სემესტრის საფასური გადაიხადოს „სწავლის საფასურის გადახდის წესი"-ს შესაბამისად, დადგენილი ოდენობით. .

5.3. აკადემიური რეგისტრაციის მიზნით სტუდენტი ვალდებულია დაარეგისტრიროს მიმდინარე სემესტრში არანაკლებ 30 კრედიტი.

5.4. პროგრამისა და მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ სტუდენტის უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მისთვის რეკომენდირებული სასწავლო კურსები.

5.5. სტუდენტს უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი, თუკი ათვისებული არ აქვს რომელიმე საგანი, რომელიც წარმოადგენს ამ საგნის წინაპირობას.

5.6. აკადემიური რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონული სახით სპეციალურ პორტალზე, რომელიც ეცნობება სტუდენტს. სტუდენტს უფლება აქვს რეგისტრაციისათვის მიმართოს მედიცინის სკოლას ან/და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურს;

5.7. სტუდენტს უფლება აქვს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 15 დღის ვადაში მოითხოვოს აკადემიური რეგისტრაციის გაუქმება-ცვლილება. გადახდილი თანხა ენახება შემდეგი სწავლის პერიოდში.

5.8. დადგენილ ვადებში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მიღებული შეფასებების აღიარების მოითხოვნის უფლებას.

5.9. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

5.10. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

6.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების ან მის გარეშე);

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

ე) ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი, თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის ამ პუნქტის შესაბამისად შეჩერების შემთხვევაში, ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში (სტუდენტის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა, ფორსმაჟორული გარემოება, პანდემია, ტექნიკური ან/და სხვა ობიექტური გარემოება), როდესაც დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, შეიძლება დაიშვას გამონაკლისი და სტუდენტს შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით. სტუდენტი, რომელიც დამატებითი სემესტრის/წლის ფარგლებში სწავლობს უნივერსიტეტში, ვერ სარგებლობს სტუდენტის

სტატუსის შეჩერების უფლებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი;

6.3. სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს არანაკლებ 1 და არაუმეტეს ხუთი წლის ვადით.

6.4. პირადი განცხადების საფუძველზე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი, სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით, განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი სემესტრის (გაზაფხულის ან შემოდგომის, სტატუსის შეჩერების შესაბამისად) დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა. სტუდენტის დასაბუთებული განცხადებისა და დეკანის წარდგინების საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცეს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 21 დღისა.

6.5. პირადი განცხადების საფუძველზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სტატუსშეჩერებულ პირს, ან გაცვლითი პროგრამებით სარგებლობისას, ან სხვა უნივერსიტეტიდან მობილობის წესით გადმოსული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნება/ ჩართვა შესაძლებელია, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (კრედიტების აღიარება).

6.6. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება (ან აკადემიური რეგისტრაციის შედეგის გაუქმება) გამორიცხავს სტუდენტისათვის შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (დარიცხული სწავლის საფასური უნდა დაკორექტირდეს/მოეხსნას).

6.7. უნივერსიტეტის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის აკრედიტაციის გაუქმების/ვადის გასვლის შემთხვევაში, ამ პროგრამის სტუდენტს უჩერდება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და იგი უფლებამოსილია ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ვადის გასვლიდან 5 წლის განმავლობაში ისარგებლოს მობილობაში მონაწილეობის უფლებით და ამის შედეგად სწავლა გააგრძელოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

6.8. პროგრამის შეცვლის/გაუქმების/აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და მათ უნდა მიეცეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა (გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროგრამის აკრედიტაციის ვადებთან დაკავშირებით, რათა მათ ისარგებლონ მობილობის უფლებით, გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა ან სხვა).

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სრულად ათვისება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ე) გარდაცვალება.

ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

7.2. თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ოპტიმალურ ვადაში (მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – 12 სემესტრი), მის მიმართ იწყება ადმინისტრაციული წარმოება, ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოსაცემად. თუკი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტს ასათვისებელი აქვს 75 კრედიტზე მეტი, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუ ასათვისებელი აქვს 75 კრედიტზე ნაკლები, ადმინისტრაციული წარმოების ვადის ამოწურვამდე მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, შეიძლება გაუხანგრძლივდეს სწავლის ვადა ერთი სასწავლო წლის/სემესტრის ვადით.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

7.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მობილობა

8.1. სტუდენტის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში – მობილობა), ასევე უნივერსიტეტში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი.“

8.2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა).

8.3. სტუდენტთა მობილობის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დადგენილი წესით, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

8.4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილებისა და პროგრამებზე დაშვებული წინაპირობის შესახებ ინფორმაციის ანკეტა-კითხვარში ასახვას, ამისათვის დადგენილ ვადაში.

8.5. ავიცენაში მობილობის მსურველი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (https://students.emis.ge/) საშუალებით, გააკეთოს განაცხადი მობილობაზე, გადაიხადოს მობილობის საფასური, სისტემაში სტუდენტის მობილობით სარგებლობაზე დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ავიცენას რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადები წარმოადგინოს:

ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ავიცენას ვებგვერდზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოწმობის ან პასპორტის) ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ე) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.6. სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები მიეწოდება მედიცინის სკოლას, რის შემდეგაც ხდება მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის და ავიცენას საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დასკვნის მომზადება.

8.7. მედიცინის სკოლა ახდენს პროგრამული თავსებადობის დასკვნის გაცნობას სტუდენტებისთვის. სტუდენტი თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერით, სტუდენტის უარი დასკვნის ხელმოწერაზე გულისხმობს უარს მობილობაზე და წყდება აღნიშნული სტუდენტს მიმართ შესაბამისი წარმოება.

8.8. მედიცინის სკოლის მიერ მოწოდეული კრედიტების აღიარების დასკვნების საფუძველზე მზადდება მობილობის მსურველ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

8.9. სისტემა გასცემს დასკვნას რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის პროექტზე.

8.10. სისტემის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ავიცენას რექტორის ბრძანება მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ. ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამადე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება მისი გამოცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 9. საერთაშორისო მობილობა – გაცვლითი პროგრამები

9.1. ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში (შემდეგში – საერთაშორისო მობილობა), უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

9.2. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შეუთანხმოს (ხელმოწერის დადასტურებით) სტუდენტსა და მიმღებ უნივერსიტეტს შორის გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულება (ე.წ. „Learning Agreement“).

9.3. საერთაშორისო მობილობის სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და წარუდგენს სასწავლო ხელშეკრულებას („Learning Agreement“) და მიმღები უნივერსიტეტის თანხმობის/მოწვევის წერილს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე შესაბამისი სკოლის დეკანის სამსახურებრივი ბარათის წარდგინებით გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე.

9.4. საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პერიოდში უნივერსიტეტის სტუდენტს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი. ამ პერიოდში სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთაშორისო მობილობის პერიოდში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მიმღები უნივერსიტეტის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

9.5. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის განცხადების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ავიცენას სასწავლო პროცესში დაბრუნების თაობაზე და მის მიერ ათვისებული კრედიტების შესაბამისი აღიარების დასკვნის გათვალისწინებით განესაზღვრება სწავლების ეტაპი (სემესტრი).

მუხლი 10. სასწავლო წელი (აკადემიური კალენდარი) და სტუდენთა სასწავლო დატვირთვა

10.1. ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, დასწრებული სწავლების ფორმით.

10.2. სასწავლო წლისა და სემესტრების დაწყების, დასრულების, სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.abmu.edu.ge).

10.3. სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან, ხოლო თითოეული სემესტრი მოიცავს 19 კვირას, საიდანაც:

ა) არაუმეტეს 15 კვირა ეთმობა სტუდენტთან საკონტაქტო სამუშაოს (სალექციო/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული/სემინარი ან/და ლაბორატორიული მეცადინეობა), მათ შორის ერთი კვირა–შუალედურ გამოცდებს;

ბ) არაუმეტეს 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიას;

გ) არაუმეტეს 1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიას.

10.4. სასწავლო პროცესის საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო ან რექტორი უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

10.5. სასწავლო პროცესი შესაძლებელია წარიმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (შემდეგში - „ისგ") მიხედვით, რომელიც მზადდება შესაბამისი გარემოებების, სტუდენტის/უნივერსიტეტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.

10.6. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ისგ შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის, სემესტრის დაწყებამდე ან დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

10.7. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას განიხილავს და სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

10.8. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 15 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა). საკონტაქტო საათი არის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

10.9. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს (ECTS). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60–ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60–ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა, ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის (ECTS) დარეგისტრირება.

10.10. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდული, სასწავლო კურსი, ლაბორატორიული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა და სხვა);

10.11. სტუდენტის აკადემიური დატვირთვა მოიცავს:

ა) ლექციას, ჯგუფში მუშაობას, სემინარს, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ და სხვა მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო და კლინიკურ პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო (სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, სასემინარო ნაშრომი) ნაშრომზე მუშაობას, წარდგენას და/ან გამოქვეყნებას;

10.12. სასწავლო კურსი/მოდული ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს თავისუფალი კომპონენტი (სასწავლო კურსები);

10.13. უნივერსიტეტის სტუდენტი აკადემიური რეგისტრაციის ვადებში უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს სხვა არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით არჩევითი სასწავლო კურსი/მოდული, რომელიც დაარეგისტრირა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა.

ბ) შეფასების გაუმჯობესების მიზნით, განმეორებით გაიაროს სასწავლო კურსი, სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი.

10.14. სტუდენტი ვალდებულია აკადემიური რეგისტრაციის დროს შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა (სასწავლო/კვლევითი კომპონენტის წინაპირობა).

მუხლი 11. სტუდენტის შეფასების წესი

11.1. სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში მიღებული შეფასებით. სტუდენტის შეფასების კომპონენტებია შუალედური და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამიც შეადგენს საბოლოო შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების მეთოდები, ხოლო შეფასების კრიტერიუმი კი არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

11.2. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) მაქსიმალური შეფასება უდრის 100 ქულს, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების

მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

11.3. შუალედური შეფასება მოიცავს:

ა) შუალედური გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 20 ქულა;

ბ) მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერითი გამოკითხვები (ტესტი, რეზიუმე, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა).

11.4. დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა, კვლევითი პროექტი ან სხვა სახის შეფასება.

11.5. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის სილაბუსში მკაფიოდ აღიწერება შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, რეკომენდებულია შემდეგი ქულები:

ა) შუალედური შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა - მაქსიმუმ 10 ქულა;

ბ) შუალედური შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა - მაქსიმუმ 5 ქულა;

გ) შუალედურ და დასკვნით შეფასებაში გამოყენებული ღია კითხვა - მაქსიმუმ 1 ქულა;

დ) შუალედურ და დასკვნით შეფასებაში გამოყენებული დახურული ტესტი - მაქსიმუმ 0.5 ქულა;

11.6. შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - წერითი და/ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერითი ნაწილის ხვედრითი წილი შეადგენს საერთო შეფასების არანაკლებ 50%-ს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ზეპირი ან ტესტური ფორმით ჩატარება. რეკომენდებულია, დასკვნითი გამოცდის საკითხები მოიცავდეს: თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ტესტებს და სხვა ტიპის დავალებებს, სილაბუსში აღწერილი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკის შესაბამისად;

11.7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა, ხოლო კლინიკურ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არანაკლებ 45 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

11.8. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა;

11.9. პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იყოფა კატეგორიებად:

(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

11.10. უნივერსიტეტში გამოიყენება სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე სასწავლო კურსში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამისი კოეფიციენტის (50 ქულამდე – 0; 51-დან 61 ქულამდე -1.55; 61-დან 71 ქულამდე -2.16; 71-დან – 81 ქულამდე – 2.77; 81-დან 91 ქულამდე – 3.38; 91 და მეტი ქულა – 4) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. GPA=(ΣGP · CR)/(Σ CR), სადაც GP- წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში/მოდულში მიღებული შეფასების (ქულის) შესაბამის კოეფიციენტს, ხოლო CR – აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამის კრედიტს.

11.11. ავიცენაში გამოცდების ჩატარების წესი რეგულირდება „საგამოცდო პროცესის მარეგულირებელი წესით".

მუხლი 12. კრედიტების აღიარების წესი

12.1. კრედიტების აღიარება ემყარება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან (ECTS) შესაბამისობას. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია სტუდენტზე და ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.

12.2. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მიხედვით კრედიტების აღიარების პროცედურას წარმართავს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საჭიროების შემთხვევაში კრედიტების აღიარების მიზნით შეაძლებელია რექტორის ბრძანებით შეიქმნას კრედიტების აღიარების კომისია (შემდეგში „კომისია") ან კომისიები (საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით).

12.3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი – საჭიროების შემთხვევაში);

ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გ) სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები, სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით.

12.4. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ და უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით. კომისიის თითოეული სხდომა აისახება ოქმში. მდივანი ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

12.5. პროგრამის ხელმძღვანელის/კომისიის გადაწყვეტილება მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ ფორმდება დასკვნის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი ან, იმ შემთხვევაში როცა კომისია არ იქმნება – პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

12.6. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას აღიარებადია:

ა) სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი კრედიტები (თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას ის სასწავლო კურსი, რომლის შესაბამისი სასწავლო კურსი გათვალისწინებულია ავიცენაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით);

ბ) სასწავლო კურსის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ავიცენას საგანმანათლებლო პროგრამით.

12.7. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, არჩევით/თავისუფალ კრედიტებად ასაღიარებელი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გადამეტების შემთხვევაში, კომისია ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, აღიარებულ იქნას არა უმაღლესი შეფასებების მქონე, არამედ, სტუდენტის მიერ გავლილი სხვა სასწავლო კურსი/კურსები გადმოყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვამდე.

12.8. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება შეიძლება მოხდეს ავტომატურად. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამა (სავალდებულო კურსებისა და თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში).

12.9. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს პროგრამის ხელმძღვანელი/კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს სასწავლო კურსი გავლილი აქვს პირველად უსდ–ში (დასაშვებია კრედიტების არა უმეტეს 30%–ით გადაჭარბებით აღიარება).

12.10. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა გააგრძელოს წინამდებარე წესზე თანდართულ სქემაში (დანართი № 1) აღნიშნული შესაბამისი სემესტრიდან, თანდართული სქემის მიხედვით.

12.11. პროგრამის ხელმძღვანელს/კომისიას უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგალითად: თუ შესასწავლი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული წინაპირობები არ არის ათვისებული ან სხვა ობიექტური მიზეზით), დაადგინოს დამატებითი შეზღუდვები და სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა დაუშვას ამ მუხლში მოცემული სქემით განსაზღვრულზე დაბალი ეტაპიდან (სემესტრიდან).

12.12. სტუდენტი განცხადებით მიმართავს შესაბამისი სკოლის დეკანს უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების/მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მოთხოვნით. სტუდენტის განცხადებაში უნდა მიეთითოს: უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში – „უცხოეთის უსდ“) დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის პერიოდი, გავლილი სასწავლო კურსები/მოდულები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები (მათი არსებობის შემთხვევაში) ან/და სასწავლო კურსების მოცულობა საათებში, შესრულებული კვლევითი სამუშაო ან გავლილი პრაქტიკა უცხოეთის უსდ–ში ან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში (სტუდენტის მიერ კვლევაზე/პრაქტიკაზე დახარჯული საათების რაოდენობა). უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასწავლო ხელშეკრულება (learning agreement) და სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტზე გაცემული ნიშნების ფურცელი (transcript of records) გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების, კრედიტების რაოდენობისა და მიღებული შეფასების მითითებით) და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. დასკვნის მომზადების შემდეგ სტუდენტი მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით.

12.13. თუ სტუდენტი უცხოეთის უსდ–ში/შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში ასრულებს კვლევით სამუშაოს ან გადის პრაქტიკას, მან უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაცემული და უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იქნება: სტუდენტის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაო/გავლილი პრაქტიკა (მოკლე აღწერილობა), კვლევაზე/პრაქტიკაზე დახარჯული საათების რაოდენობა, ECTS კრედიტები და მიღებული შეფასება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 13. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

13.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, შესაბამისი სკოლის დეკანი კომისიური წესით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: სკოლის დეკანი, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანის ოფისის წარმომადგენელი.

13.2. საკვალიფიკაციო კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და უნივერსიტეტში გამოცემული აქტების გათვალისწინებით, არკვევს შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. სტუდენტის პირად საქმეში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, სკოლის დეკანის ოფისი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს მისი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას (თუკი ხარვეზი გამოწვეულია სტუდენტის მხრიდან – მას აძლევს გამოსწორებისათვის ოპტიმალურ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს, ხოლო საუნივერსიტეტო საქმისწარმოების ხარვეზის შემთხვევაში – ამზადებს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტს/ახორციელებს შესაბამის ქმედებებს).

13.3. საკვალიფიკაციო კომისია ამზადებს დასკვნას სკოლის საბჭოსთვის წარსადგენად. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

13.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში, პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული დანართით.

13.5. პირს, რომელმაც არ, ან ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და ასათვისებელი დარჩა პროგრამის 75 კრედიტზე მეტი, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

13.6. საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც დადგენილ ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და სკოლის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ.

13.7. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა სათანადო მოწმობა.

13.8. მოწმობასთან ერთად გაიცემა შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ შედგენილი ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ.

მუხლი 14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

14.1. მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, აკრედიტაციის გაუქმების, ან სასწავლებლის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში ავიცენა უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახლებული/ალტერნატიულ პროგრამებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნივერსიტეტის შიგნით, ან უფლებამონაცვლე სასწავლებელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტუდენტთა გადაყვანის ან სხვა ავტორიზებულ/აკრედიტებულ სასწავლებლებში სტუდენტთა მობილობის (რიგგარეშე) ხელშეწყობით.

14.2. სწავლის გაგრძელების შემდგომი უზურნველყოფის მიზნით უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაითვალისწინება შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტები.

14.3. უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში ავიცენას სტუდენტები ჩაითვლებიან სტატუს შეჩერებულ პირებად და აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" გათვალისწინებული პირობები.

14.4. აკადემიური პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საზღვაო აკადემიის სტატუსის შეცვლით ან სხვა ობიექტური მიზეზებით, გაუქმებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები სარგებლობენ სტუდენტის სტატუსით და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სარგებლობენ მობილობის უფლებით დადგენილი წესების შესაბამისად;

ბ) თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის გაგრძელებაში, რისთვისაც სტუდენტებს სთავაზობს ამ მიმართულებით მოქმედ თავსებად სხვა აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გაგრძელებას შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში);

გ) უზრუნველყოფს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმების გაფორმებას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოებს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

14.5. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კონსულტაციებისა და მხარდაჭერისათვის, ავიცენა უზრუნველყოფს განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

დანართი №1

შემოდგომის სემესტრში მობილობის/სწავლის გაგრძელების მიზნისათვის განსაზღვრული კრედიტების აღიარების სქემა

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 2 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - 44 კრედიტი	I სემესტრი
45 კრედიტი და მეტი	III სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 3 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-29 კრედიტი	I სემესტრი
30 - 104 კრედიტი	III სემესტრი
105 კრედიტი და მეტი	V სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 4 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-14 კრედიტი	I სემესტრი
15-89 კრედიტი	III სემესტრი
90-164 კრედიტი	V სემესტრი
165 კრედიტი და მეტი	VII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 5 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-9 კრედიტი	I სემესტრი
10- 74 კრედიტი	III სემესტრი
75-149 კრედიტი	V სემესტრი
150 – 224 კრედიტი	VII სემესტრი
225 კრედიტი და მეტი	IX სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 6 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-9 კრედიტი	I სემესტრი
10- 74 კრედიტი	III სემესტრი
75-149 კრედიტი	V სემესტრი
150 – 224 კრედიტი	VII სემესტრი
225 - 284 კრედიტი	IX სემესტრი
285 კრედიტი და მეტი	XI სემესტრი

გაზაფხულის სემესტრში მობილობის/სწავლის გაგრძელების მიზნისათვის განსაზღვრული კრედიტების აღიარების სქემა

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 2 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-74 კრედიტი	II სემესტრი
75 კრედიტი და მეტი	IV სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 3 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-64 კრედიტი	II სემესტრი
65 - 139 კრედიტი	IV სემესტრი
140 კრედიტი და მეტი	VI სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 4 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - 49 კრედიტი	II სემესტრი
50-124 კრედიტი	IV სემესტრი
125-199 კრედიტი	VI სემესტრი
200 კრედიტი და მეტი	VIII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 5 წელი:

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0 - 34 კრედიტი	II სემესტრი
35- 109 კრედიტი	IV სემესტრი
110-184 კრედიტი	VI სემესტრი
185 – 259 კრედიტი	VIII სემესტრი
260 კრედიტი და მეტი	X სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა ხანგრძლივობაა 6 წელი

აღიარებული კრედიტი	სწავლების ეტაპი
0-19 კრედიტი	II სემესტრი
20 - 94 კრედიტი	IV სემესტრი
95-169 კრედიტი	VI სემესტრი
170 – 244 კრედიტი	VIII სემესტრი
245 – 319 კრედიტი	X სემესტრი
320 კრედიტი და მეტი	XII სემესტრი